სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/62

ქ. თბილისი 3 ივნისი 2026 წ.

„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განხორციელების უფლების მოპოვების და გაუქმების წესის“ დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „ს“ ქვეპუნქტების, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „ს“ ქვეპუნქტების შესაბამისად და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 3 ივნისის № 01-05-02/09 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განხორციელების უფლების მოპოვების და გაუქმების წესი“ დანართის შესაბამისად.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის
დაგეგმვის, შემუშავების და განხორციელების უფლების მოპოვების და
გაუქმების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდეგში „უნივერსიტეტი") პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების უფლების მოპოვების და გაუქმების პროცედურას. წესი შემუშავებულია „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების და „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანების საფუძველზე.
2. ამ წესში გამოყენებული ტერმინები გამოიყენება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობით.
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების მიზანს წარმოადგენს ფორმალური განათლების ფარგლებში შესაბამისი საქმიანობის განხორციელება და სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - სერტიფიკატის გაცემა.
4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს ის პროფესიული მომზადების პროგრამა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა, რომლის განხორციელების უფლებაც კანონდებლობით დადგენილი წესით აქვს მოპოვებული ან რომლის განხორციელების უფლებაც აქვს დამატებითი უფლების მოპოვების გარეშე და რეგისტრირებულია ელექტრონულ სისტემაში.

მუხლი 2. პროგრამის ინიცირება

1. პროფესიული მომზადების პროგრამა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა შემუშავების ინიცირება ხდება პარტნიორი ორგანიზაციის ან ბიზნეს სუბიექტ(ებ)ის

დაკვეთით/ინიცირებით, უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის სპეციალისტების ან/და სხვა დაინტერესებული პირის მიერ.

2. პროფესიული მომზადების პროგრამა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის პროექტს ამზადებს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის პერსონალი (დარგის სპეციალისტი) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინაციით.

მუხლი 3. პროფესიული მომზადების პროგრამა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის დასაბუთება

1. პროფესიული მომზადების პროგრამა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის პროექტს უნდა ახლდეს დასაბუთება, რაც ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

   ა) არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/სამუშაო პოზიციებზე, რაც დასტურდება კვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით. არგუმენტაცია შესაძლოა ეფუძნებოდეს, როგორც პირველად წყაროებს (უშუალოდ უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევა, შეხვედრები დამსაქმებლებთან და სხვ.), ასევე მეორად წყაროებს (სხვა ორგანიზაციების/უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის კვლევის მონაცემები და სხვა);

   ბ) უნივერსიტეტი პროფილური მიმართულების ფარგლებში აფართოებს პროგრამათა სპექტრს;

   გ) პროფესიული მომზადების პროგრამა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის დასაბუთება/შემუშავების საფუძველი შესაძლებელია გახდეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს შინაარსის განსაზღვრისთვის აუცილებელ ინფორმაციას.

მუხლი 4. პროფესიული მომზადების პროგრამის ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავება და დამტკიცება

1. პროფესიული მომზადების პროგრამა, არის პროგრამა რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს;
2. პროფესიული გადამზადების პროგრამა, არის პროგრამა რომელიც კომპეტენციების შეძენა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს.

3. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის შემუშავების საფუძველია:

ა) პროფესიის სტანდარტი;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი;

გ) მოდული/მოდულები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ან/და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან/და სხვა საერთაშორისო აქტებით კონკრეტული სფეროს რეგულირებისთვის დადგენილ მოთხოვნები;

ე) დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორ ISCO-08-ი ან/და საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორს ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ.

4. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა განისაზღვრება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ,,ცენტრი") მიერ დამტკიცებული ფორმით. რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პროგრამის სახელწოდება;

ბ) პროგრამის სახე;

გ) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე;

დ) პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში;

ე) კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა;

ვ) მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში;

ზ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;

თ) პროგრამის მიზნები;

ი) სწავლის შედეგები;

კ) პროგრამის შემუშავების საფუძველი;

ლ) პროგრამის მოკლე აღწერა;

მ) პროგრამის შინაარსი;

ნ) პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან (საჭიროების შემთხვევაში).

5. მომზადების/გადამზადების პროგრამის პროექტს თან უნდა ახლდეს ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური, სასწავლო და ადამიანური რესურსების შესახებ.

6. იმ შემთხვევაში თუ მომზადების/გადამზადების პროგრამა შემუშავებულია პროფესიული პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს უნივერსიტეტს, სწავლის შედეგების მიღწევისათვის მსმენელის სასწავლო დატვირთვა ლოგიკურად უნდა შეესაბამებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ანალოგიური შედეგებისათვის გათვალიწინებულ დატვირთვას, რაც არ გამორიცხავს მცირედ ცვლილებას.

7. იმ შემთხვევაში, როდესაც მომზადების/გადამზადების პროგრამა შემუშავებულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს უნივერსიტეტს, პროფესიული

მომზადების/გადამზადების პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამის მოდულზე დაშვების პირობები.

8. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის/გაზრდის/შემცირების შესახებ მხეველობაში მიიღება ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის" მეთოდოლოგია.

9. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელება შესაძლებელია დამატებითი უფლების მოპოვების გარეშე. ამ შემთხვევაში, შესაბამისი პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის შემუშავება ხდება ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და ამ მუხლის მე-10 მუხლით დადგენილი პროცედურის გავლისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დამტკიცების შემდეგ აისახება უფლების მოპოვებისთვის ელექტრონულ სისტემაში ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული პერსონალის მიერ. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელებაზე უფლების მოპოვება ხდება ცენტრის მიერ დადასტურების გზით.

10. შემუშავებული პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის პროექტი და თანდართული დოკუმენტაცია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემოწმების შემდგომ, წარედგინება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, რომელიც სამსახურებრივი ბარათით დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (eFlow) საშუალებით შეთანხმების მიზნით იგზავნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. სამსახური ამოწმებს დოკუმენტების შესაბამისობას პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ რეგულაციებთან და საჭიროების შემთხვევაში წერილობითი ფორმით წარუდგენს რეკომენდაცი(ებს)ას შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს. ფაკულტეტის დეკანი შეთანხმებული პროგრამის პროექტს ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს განხილვის მიზნით. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დეკანი მოხსენებით ბარათს, ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერს და პროგრამის პროექტს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წარუდგენს რექტორს, აკადემიურ საბჭოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადასტურების შემთხვევაში, აკადემიური საბჭო განიხილავს პროგრამის პროექტს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ამტკიცებს პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელს.

11. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის უფლებამოსილი პირი - პროგრამის კოორდინატორი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციით უზრუნველყოფს შესაბამისი განაცხადის, პროგრამის და

თანდართული დოკუმენტაციის ატვირთვას ელექტრონულ სისტემაში განხორციელების უფლების მოსაპოვებლად.

მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილების ან გაუქმების შემთხვევაში განსახორციელებელი ღონისძიებები

1. უნივერსიტეტი ვალდებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან იმ კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, რომლის ფარგლებშიც მომზადებულია პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამა, შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულმა მსმენელებმა დაასრულონ სწავლა. ასეთ შემთხვევაში უნივერსიტეტი აღნიშნულ პროგრამაზე ახალ მსმენელებს ვერ მიიღებს.
2. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე შემდეგი მიღების გამოცხადებამდე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს არსებული პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობას, რის თაობაზეც ახდენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებას. უნივერსიტეტი ვალდებულია, მსმენელებს სწავლა დაასრულებინოს იმ პროგრამაზე, რომელზეც ისინი ჩაირიცხნენ, ხოლო ახალი მსმენელები მიიღოს შეცვლილ პროგრამაზე.
3. იმ შემთხვევაში თუ უნივერსიტეტმა დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება, ვალდებულია ჩარიცხულ მსმენელებს დაასრულებინოს სწავლა არსებული პროგრამით.
4. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების/ცვლილებების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ცენტრს აცნობებს ცვლილების შესახებ, მსმენელთა ახალი ნაკადის მიღების გამოცხადებამდე.

მუხლი 6. პროფესიულ მომზადების/გადამზადების პროგრამაში უფლების მოპოვების ვადაში განხორციელებული ცვლილებები

1. უფლების მოპოვების ვადაში პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია:

   ა) პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირის/პირების დამატების შემთხვევაში ცენტრში წარადგინოს ახალ პარტნიორთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანამშრომლობის შესახებ;

   ბ) პროგრამის განმახორციელებელი პირის/პირების ცვლილების შესახებ ცენტრში წარადგინოს მათი განათლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;

გ) პროგრამის სახელწოდების, მოცულობის, განხორციელების ადგილის ან სწავლის შედეგის/შედეგების ცვლილების შემთხვევაში, ცენტრში წარადგინოს განახლებული პროგრამა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების/ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ვალდებულია ცენტრს აცნობოს ცვლილების შესახებ მსმენელთა ახალი ნაკადის მიღების გამოცხადებამდე 30 სამუშაო დღით ადრე.

მუხლი 7. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის გაუქმება

1. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის გაუქმების საფუძველი შესაძლოა გახდეს:

   ა) შრომის ბაზრის ანალიზით კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;

   ბ) პროგრამის განხორციელების მხარდამჭერ გარე პარტნიორებთან თანამშრომლობის შეწყვეტა ან განხორციელების უფლების ვადის გასვლა;

   გ) სხვა შემთხვევა, რომელიც პროგრამის გაუქმებით არ დაარღვევს მსმენელის კანონიერ ინტერესებს;

   დ) უნივერსიტეტის გადაწვეტილება ან/და სხვა ობიექტური გარემოება.

2. პროგრამის გაუქმების ინიციატორი შეიძლება იყოს პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც წერილობითი ფორმით დასაბუთებული ინფორმაციას პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებით წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ფაკულტეტის საბჭოს.

3. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამის გაუქმების შესახებ საკითხს და ფაკულტეტის დეკანის მიერ ინფორმაცია წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. პროგრამა გაუქმებულად ჩაითვლება აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე.

4. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი აცნობებს ცენტრს.